გიორგი კეკელიძე

სხვა ცის ამბავი

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი
2021

გიორგი კეკელიძე
სხვა ცის ამბავი

პროდიუსერი
ჯულიეტა ანდღულაძე

მხატვარ-ილუსტრატორი
ნიკოლოზ ლოლაძე

რედაქტორები
გურამ პეტრიაშვილი
ზაალ ჩხეიძე
მარინა ჟღენტი

დიზაინერი
მარი ვერულაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტის
გამომცემლობა © გიორგი კეკელიძე

ქართული გამოცემა © საქართველოს
უნივერსიტეტი, 2021

პირველი ილუსტრირებული გამოცემა,
მარტი, 2021

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის
არცერთი ნაწილი არანაირი ფორმით ან
საშუალებით არ შეიძლება გამოყენებულ
იქნას გამომცემლობის წერილობითი
ნებართვის გარეშე.

ISBN 978-9941-9707-3-3

დაიბეჭდა საქართველოში.
შპს. „საქართველოს უნივერსიტეტი“
მისამართი: 77ა, მ. კოსტავას ქუჩა,
თბილისი, 0171, საქართველო
ტელ.: +995 032 2 55 22 22
ელ. ფოსტა: info@ug.edu.ge; ug@ug.edu.ge

Giorgi Kekelidze
The Story of the Other Sky

Producer
Julietta Andghuladze

Illustrations by
Nikoloz Loladze

Editors
Guram Petriashvili
Zaal Chkheidze
Marina Zhghenti

Designer
Mari Verulashvili

The University of Georgia Publishing
House © Giorgi Kekelidze

Georgian edition © The University of
Georgia, 2021

First illustrated edition,
March, 2021

All rights reserved. No part of this publication may be reproduced by any form without written permission of the publisher.

ISBN 978-9941-9707-3-3

Printed in Georgia.
Ltd. “The University of Georgia”
Address: 77a, M. Kostava Street,
Tbilisi, 0171, Georgia
Tel.:+995 032 2 55 22 22
info@ug.edu.ge; ug@ug.edu.ge

ბავშვებისთვის, რომლებიც არ უნდა შიმშილობდნენ.
დიდებისთვის, რომლებსაც დაავიწყდათ, რომ ბავშვები იყვნენ.

ისევ თ-ს

სარჩევი

თომა და ნიკა ლო ცაში ფეხით მიდიან 13

მეგობრები ხვდებიან ბუმბოს 26

ნისლის ქოხის კაცუნა 33

იმ სათამაშოების სასახლე,
რომლებიც სათამაშოები არიან და არც არიან 40

მზე 48

თომა და ნიკა ლო ცაში ფეხით მიდიან

ბებოს კალენდარზე 9 აგვისტო ეწერა, გარეთ კი ისე თოვდა, თითქოს ცაცანცალას ბალიში დაჭრეს და თეთრი ბატის ბუმბულები გადმოყარესო.

ცაცანცალა არ იცით? მფრინავი ჯუჯაა, თომას მეგობარი, ჯუჯების სკოლიდან. დადის და დაცანცალებს ცაზე, ღრუბლიდან ღრუბელზე დახტის და დაეხეტება, თან დიიიიდი – ხუთი რომ ხუთზე გავამრავლოთ, ორი დავუმა-



ტოთ და არაფერი გამოვაკლოთ – იმხელა ღრუბლისხელა ბალიშს დაათრევს, მეზობელი ბატის ბუმბულებით სავსეს.

ჰოდა, თოვდა, თოვდა. დიახ! მძინარე ცაცანცალას ბალიში დაუჭრეს, ნამდვილად! და ახლა თავი რომელიმე ღრუბელზე უდევს და ვერაფერს ხვდება. რა იცის, რომ 9 აგვისტოა და მისი ძილისგუდობისა და ცის ონავარი მახრების გამო თოვლი მოდის!

– ასე არ გამოვა, – თქვა თომამ – შოკოლადის ხეები რომ გაიზარდოს, მზის სხივები გვჭირდება. მზე კი არა, თოვლი მოდის. ხე თეთრ შოკოლადებს მოისხამს, ჩვენ შოკოლადისფერი შოკოლადები გვინდა!

– ასე არ გამოვა, – ნიკა ლომაც გაიმეორა – და რადგან ასე არ გამოვა, მაშინ, როგორც მათემატიკის მასწავლებელი, სახელად, ათიათასხუთიგავყოთშვიდზე გვასწავლის – ისე უნდა მოვიქცეთ. ანუ ცაცანცალა უნდა გავაღვიძოთ!

თომამ და ნიკა ლომ მოტორიანი ცოცხები მოქოქეს, მოქოქეს და ის იყო, უნდა გაფრენილიყვნენ ცაცანცალას გასაღვიძებლად, თომას ცოცხმა ხმამაღლა დააცემინა – ჩხიკ! ჩხიკ! ჩხიკ! – და გაჩერდა.

– რა მოგვიდა? – დაღონებით ჰკითხა თომამ.

— დავიღალე, — უპასუხა ცოცხმა, — და თან ნამდვილი ცოცხობა მომენატრა, ამ საძაგელი მოტორის და აქეთ-იქით ფრენის გარეშე. შეხედე, რამდენი ნაგავია ირგვლივ უუუფფფფ! რას დავგვიდი!

— ერთხელ კიდევ დამეხმარე და მერე ბებიას მიგაბა-რებ! — სლუკუნით უთხრა ცრემლმორეულმა ბიჭუნამ.

— არც ერთხელ! ჩვენ, ცოცხები, რასაც ვამბობთ, ერ-თხელ ვამბობთ და აღარ გადავთქვამთ! შენ იატაკის ჯოხში ხომ არ გეშლები?! — ამაყად შესძახა ცოცხმა და კედელს მიეყუდა.

თომა იქვე დაჯდა და ატირდა. ცრემლები ცეკვა-ცეკვით მოსრიალებდნენ ლოყიდან, მერე ბზრიალით მიწას ენარცხებოდნენ და სადღაც გარბოდნენ, აქაოდა ვინმემ არ შეგვამჩნიოსო. ვინმე კი აუცილებლად იქნებოდა ახლომახლო. მერე რა, რომ თოვდა, მაინც ზაფხული იყო და ხალხი მიდი-მოდიოდა.

— ტირილი არ შეიძლება! ბიჭი ხარ და ტირი?! — და-უყვირა მეზობელმა ავყანყალამ, გამხმარი ფიცრებისგან აწყობილმა კაცმა, ამ ზღაპარზე გრძელი ცხვირით და იმ ცხვირზე გრძელი ენით.

— თუ ცრემლი მაქვს, მაშინ ტირილი რატომ არ შეიძ-ლება? — უპასუხა თომამ.

– ცრემლი მარტო იმიტომ გაქვს... – ჩაფიქრდა ავყანყალა, იფიქრა, იფიქრა, ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაიფიქრა, ბევრი ვერაფერი მოიფიქრა და ამოილუღლუღა – იმიტომ, რომ ჩაყლაპო!

– ბებიამ მითხრა, რომ ჩაყლაპული ცრემლი ყველაზე მავნეა, ავყანყალა! მუცელი ამტკივდება და შენ ვერ მომარჩენ! – არ ნებდებოდა თომა.

– ბებიაშენმა რა იცის! – დაიყვირა ავყანყალამ, – ბებიაშენიც გოგოების ქალაქიდან არის და გატყუებს!

– როგორ მატყუებს, იმ დღეს, სკოლაში რომ მერხიდან ჩამოვვარდი, მუხლები მეტკინა, შემრცხვა, ცრემლები ჩავყლაპე და მთელი ღამე, მუხლების მაგივრად, მუცელი მტკიოდა. ეს შენ ხარ ცრუპენტელა! – გაცხარდა პატარა თომა, – ახლა აქედან მოუსვი, სანამ ჯუჯების ჯარს დავუძახე! ცრემლები იმიტომ მაქვს, რომ უნდა ვიტირო!

ავყანყალა უკმაყოფილოდ აბუზღუნდა, ენა დაკეცა, ძირს დაშვებული ცხვირი გაისწორა და ავყანყალური ყანყალით წაყანყალდა.

თომა დაჯდა და ტირილი განაგრძო.

– ამ ცოცხზე ორივე ვერ დავეტევით, – უთხრა ნიკა ლომ, – ამიტომ არც მე მინდა ცოცხი, მოდი, ფეხით წავიდეთ!

– ეგ როგორ? – გაუკვირდა თომას.

– ბევრი უნდა ვიაროთ, ბევრი, მაგრამ სიარული არ ყოფნის, გზაში კიდევ უფრო ბევრი, ბევრი უნდა ვიოცნებოთ.

– ვიოცნებოთ?

– კი, კი, ვიოცნებოთ, – უპასუხა ნიკა ლომ, – მერე ეს ოცნებები ერთმანეთს უნდა მივადგათ და ცაზე ავიდეთ. მხოლოდ ოცნებებისგან კეთდება ისეთი კიბე, ცაზე მიყუდება რომ შეიძლება! – მზად ხარ?

– მზად ვარ! – შესძახა თომამ და მეგობრები გზას გაუდგნენ. ძველი მეგობარი თომთეც, და რაღა თქმა უნდა, თუთაც, ეს საოცარი, სიფრიფანა გოგონა, არ დავიწყებიათ.

თომა – ჩვენი ძველი მეგობარია. ბიჭი, რომელიც ბავშვების ქალაქში ორი წინადადებით გახდა ცნობილი. პირველი ზეპირად ვიცი: – „თუ ბავშვობა მართლა იქ მთავრდება, როცა ლოგინის ქვეშ შეხედვის აღარ გეშინია, მაშინ ფანჯრიდან უნდა მოვისროლო ჩემი საწოლი“, ხო, ეს ერთი, და მეორე, თუ ზუსტად მახსოვს, ასე იყო: „სიყვარული უდრის თავდა-ყირა სიარულს. ასე წერია გრძნობების მათემატიკაში“

თომა თავდაყირა თუთას გამო დადიოდა. აი, თუთა კი ცაზე უფრო ცისფერთვალება გოგონა იყო. ბაფთებად

ფითქინა, ფითქინა პეპლები ასხდნენ ოქროსფერ თმაზე, ძილის წინ გაფრინდებოდნენ პეპლების ქვეყანაში და დილის ნიავთან ერთად ბრუნდებოდნენ. თუთა ძილის წინ წიგნის კარადის კარს ღია ტოვებდა, წიგნებს რომ ესუნთქათ, ამიტომაც, წიგნებში დამალული ფიფქიები, თურმე, დღემდე თუთას უახლოესი მეგობრები არიან.

ნიკა ლო თომას ახალი თანაკლასელია. ნიკა ლო ბიჭია. აბა, საკვირველი თითქოს რა ვთქვი, მაგრამ თომა, ხომ გახსოვთ, ნახევრად ჯუჯაა. აი, ნიკა ლო – მთლიანად ბიჭია. თან სუპერ-ბიჭი. მხატვარია. ამ ზღაპრებში რომ ნახატებია, ეგ ყველა ნიკა ლომ და-

ხატა. თქვენც დაგხატავთ, თუ ყურადღებით წაიკითხავთ. ნიკა ლო კეთილი ბიჭია, ისეთი, რომ სიკეთის მასწავლებელმა უთხრა, წლის ბოლოს ნიშნის მაგივრად უუუზარმაზარი ათიანის ტორტს გამოგიცხობო. ხომ მაგარია?!

თომთე სტუმარია ზამთრის ქვეყნიდან. ჯუჯების ათეულის უფროსი. როგორც ძველ წიგნებში ეწერა: თომთეს ერთი ჯადოსნური თვისება ჰქონდა, შეეძლო ხმა მსოფლიოს ნებისმიერ კუთხემდე მიეწვდინა. თუ ძველ, უკვე უხსოვარ დროში თომთეებს ამისთვის მთელი დედამიწის მცხოვრებლების გადაყრუება უწევდათ, ისე ხმამაღლა გაჰყვიროდნენ, ჩვენი თომთე ქარს ატანდა და პირდაპირ სასურველ ჯუჯასთან მიჰქროდნენ სიტყვები.

ჰოდა, მიდიოდნენ და ოცნებობდნენ მეგობრები. ოცნებობდნენ და მიდიოდნენ. გზა გრძელი იყო, დაგრეხილი და სახიფათო. ვნახოთ, ვნახოთ – ამბობდნენ გულში. ჩვენც სხვა რა დაგვრჩენია, იმავეს ვიტყვით და ჩუმად, ფეხაკრეფით გავ-ყვებით ცისკენ.